ხუთი ბურთი ორმოცდაათ წუთში

როცა საკავშირო კატეგორიის მსაჯმა მ. ბელიანინმა საფინალო სასტვენი მისცა, სადემონსტრაციო ფარზე ეწერა: “დინამო” (თბილისი) – 5, “დინამო” (ლენინგრადი) – 0.

თბილისელებმა დიდი უპირატესობით დაამარცხეს მოწინააღმდეგე, მაგრამ ანგარიში გაკეთდა ბოლო 50 წუთში. თამაშის პირველი ნაწილი მათ ჩაატარეს უფერულად, დაბალ ტემპში. გუნდი მთლიან მოძრაობაში არ იყო, მარტივი 2–3-სვლიანი კომბინაციები თამაშდებოდა ფეხბურთელთა ცალკეულ ჯგუფებში, ნახევარმცველები (მახარაძე–ანთაძე) არ მონაწილეობდნენ თავდამსხმელთა იერიშებში.

თამაშის პირველი 10 წუთი მეტად საინტერესო გამოდგა. ლენინგრადელებმა მაღალი ტემპი შესთავაზეს თბილისელებს. მათი შეტევა იწყებოდა მოედნის სიღრმეში, გრძელდებოდა ფლანგებზე და დამამთავრებელ ფაზაში კარის წინ თითქმის ყოველთვის ერთად შედიოდნენ კოლობოვი, ბონდარენკო და ტენიაგინი. ზოგჯერ, პირიქით, ცენტრალური სამეული აგრძელებდა კომბინაციას და მაშინ გარემარბები ცვეტკოვი და გრამატიკოპულო გადიოდნენ კარის წინ. მარღანიასა და მცველებს სრული ყურადღება და მზადყოფნა დასჭირდათ სტუმრების სწრაფი და გაშლილი იერიშების მოსაგერიებლად. მასპინძელთა კონტრიერიშები ორგანიზებული არ იყო. ლენინგრადელთა საჯარიმო მოედანზე ხან ღოღობერიძე შევიდოდა თავისი შესანიშნავი დრიბლინგით, ხან მარჯვენა ფრთიდან კ. გაგნიძე და კოტრიკაძე შეიჭრებოდნენ.

შემდგომში თამაში გაუფერულდა, ტემპმა მოიკლო და ორივე გუნდი მეტწილად მოედნის შუაგულში ტრიალებდა.

ტაიმის დასასრულს კოტრიკაძემ თავის ფრთაზე მიიღო ბურთი და ზუსტად გაუჭრა კ. გაგნიძეს. ეს უკანასკნელი დიდი სისწრაფით მიუახლოვდა კარს და შეუჩერებლად დაარტყა. მეკარე ფარიკინი (რომელიც კარგად თამაშობდა ამ დღეს) უძლური იყო მოეგერიებინა ძლიერად დარტყმული ბურთი. 1:0.

მეორე ტაიმი დიდად განსხვავდებოდა პირველისაგან. თბილისელებმა ტემპს საგრძნობლად მოუმატეს, ნახევარმცველები დაუახლოვდნენ თავდამსხმელებს, მოედნის შუაგული შეიკრა, განმტკიცდა და შეტევებს საჭირო სიღრმე მიეცა.

მე–15 წუთზე თბილისელებმა თავისი ნაცადი, ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს. მარჯვენა მხრიდან კუთხურს აწოდებდა კოტრიკაძე. ელოშვილმა მაყურებლის პოზიცია დაიკავა: თითქოსდა საქმე არ ჰქონდა ამ კუთხურთან და თავის ზონაში აპირებდა დარჩენას, მაგრამ მოულოდნელად, როცა მისი მოპირდაპირე – გრამატიკოპულოც მაყურებლის როლში დარჩენას აპირებდა, იგი წინ გაიჭრა, მიიღო გადაცემა, მოატყუა მცველი და გადააწოდა ღოღობერიძეს. ღოღობერიძემ ძნელი მდგომარეობიდან ბრწყინვალე დარტყმით შორ კუთხეში გაგზავნა ბურთი – 2:0. წუთის შემდეგ ელოშვილმა ისევ “მიაძინა” გრამატიკოპულოს ყურადღება, კვლავ გავიდა კუთხურის მისაღებად, მიიღო გადაცემა და კარში ძლიერად დაარტყა. ბურთი მოხვდა ბადეს, მაგრამ გარედან.

სტუმრებმა ერთხანს სცადეს ინიციატივის ხელში აღება. მარღანიას გაბედული ნახტომით მოუხდა ბურთის აღება გოროხოვის ფეხიდან. ერთ–ერთ სახიფათო მომენტში თბილისელთა კარში მოწინააღმდეგის ორი თავდამსხმელი შევარდა, მაგრამ ბურთი მცველებს დარჩათ.

სტუმრების შეტევა ამოიწურა. ლურჯი მაისურები ისევ გამოჩნდნენ მოწინააღმდეგის ნახევარზე და ათიოდე წუთში ანგარიში სამი ბურთით გაიზარდა. ჯერ კალოევმა ზუსტი გადაცემით ღოღობერიძე პირისპირ გაიყვანა მეკარესთან. ოსტატურად დარტყმული ბურთი ნელა შეგორდა ბადეში. ცოტა ხანში თბილისელთა კაპიტანმა "ვალი გადაიხადა". იგი შესანიშნავად გავიდა მარცხენა ფრთაზე, სულ ახლოს მივიდა კართან, კალოევს მიაწოდა, რომელმაც ბურთი ძლიერად გაგზავნა მარცხენა მაღალ კუთხეში – 4:0.

რამდენიმე წუთის შემდეგ ფარიკინმა უკვე მეხუთე ბურთი გამოიტანა ბადიდან. კ. გაგნიძე–კოტრიკაძე–კალოევის მოფიქრებული, ლამაზი კომბინაცია ზუსტად დაამთავრა მახარაძემ.

თბილისის "დინამომ" მატჩი დიდი უპირატესობით მოიგო, მაგრამ გუნდის ქომაგები სავსებით სამართლიანად იყვნენ უკმაყოფილონი ერთი გარემოებით. ამ გამარჯვებაში არავითარი წვლილი არ მიუძღვის მარცხენა გარემარბს ა. ჭკუასელს. ეს ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე, უდაოდ ნიჭიერი ფეხბურთელი 90 წუთის განმავლობაში უდარდელად დასეირნობს მოედანზე, "შავ სამუშაოს" არ კადრულობს, წართმეულ ბურთს არ გამოეკიდება და უმთავრესად იმის მოლოდინშია, როდის შეუქმნიან პარტნიორები მას ხელსაყრელ მდგომარეობას კარში დარტყმისთვის, ან ასეთი მდგომარეობა როდის შეიქმნება მოწინააღმდეგის მცველთა შეცდომის შედეგად. "ლელოში" არაერთი წერილია შემოსული ფეხბურთის მოყვარულისაგან. ისინი სამართლიანად მიუთითებენ ჭკუასელს, რომ მაგალითი აიღოს სპორტის დამსახურებული ოსტატების ღოღობერიძისა და ანთაძისაგან. მასზე გაცილებით ხნიერი ფეხბურთელები მაქსიმალური ენერგიით თამაშობენ მოედანზე. ძალღონეს არ იშურებს აგრეთვე მისივე ტოლი კოტრიკაძე.

გარდა ამისა, როცა ანგარიში უკვე 3:0 და 4:0 იყო, მიზანშეწონილი იქნებოდა ღოღობერიძის შეცვლა. თამაში უკვე მოგებული იყო, ხოლო ღოღობერიძის თამაში ნატკენი ფეხით საშიშია. ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა მწვრთნელმა უნდა გამოიყენოს რომელიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

თბილისისა და ლენინგრადის "დინამოს" დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ – 1:1.

ბ. ქორქია.

"ლელო", 5 აგვისტო, 1953 წ.